№ 141 წელიწადი I. ოთხშაბათი 29 ივლისი 1915 წ.

სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 67.

მეუღლე მანანა ზურაბის ასული, შვილები: დიმიტრი, ევგენია, თამარა და ეკატერინე, სიძეები ვლადიმერ ტატიშვილი და არტურ უნდრიცი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 ივლისს, დილით გადაიცვალა ნოტარიუსის თანაშემწე

სოლომონ გურგენის ძე გოდერძიშვილი.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზე, კაზაკოვის ქუჩა, № 4. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 29 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება ცხედრის ნაიტაკის სახლიდან (კაზაკოვის ქუჩა, № 4).

---

27 ივლისს, ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

თეკლე მამუკას ასული კაპანაძისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს შვილი ივანე კაპანაძე, რძალი ნადეჟდა კოსტანტინეს ასული და შვილის შვილები: ილიუშა, ანტონინა (ტონია) და ლილი ივანეს ძე და ასულნი კაპანაძეები.
გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება 30 ივლისს, დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე, ორპირის ქუჩა, სოლომონ წერეთლის სახლიდან საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე.
ცალკე წერილები არ დარიგდება. 2—1—546

კოსტანტინე (კოსტა) სიმონის ძე მჟავანაძე, მეუღლე მისი ელისაბედ პავლეს ასული მჟავანაძისა, შვილები მათი: ვლასი, სერგო, ნესტორ, (საშა) ალექსანდრე და დანარჩენნი ნათესავნი და მოყვრები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველნი ძვირფასი შვილის, მეორენი თავისი ძმის მე-9 უუბანის პლასტუნის ბატალიონის პრაპორჩიკის

ვასილ (ვასიკო) კოსტანტინეს ძის მჟავანაძის

გარდაცვალებას, რომელიც გმირულათ იქნა მოკლული ავსტრიის საზღვარზე 15 ივლისს. განსვენებულის ცხედარი მოასვენეს 26 ივლისს ქ. ქუთაისში. დაკრძალვა მოხდება 30 ივლისს, დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე, მთავარ ანგელოზის ეკლესიის სასაფლაოზე, მესხეთის ქუჩა, საკ. სახლი. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. 2—1—544.

დაიბეჭდა ა. გარსევანიშვილის წიგნაკი **მაია—მათე ყაჩაღათ წოდებული.**
იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.

ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ქალი ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს **ფრანგულ ენას.**
პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. თ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს,** ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 5—7 ს.

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი
საზაფხულო შენობაში.
ორშაბათიდან, 27 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:
დაიმსხვრა სიცოცხლე, გაცრუვდა ოცნება.
1002 მოხერხება. ფარსი ბაუერის მონაწილეობით.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.** თ.

ექიმი **გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვების და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8 —2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის უოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი
ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

კერძო ექიმი **მიხეილ კაშია**
კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას დებულობს დილის 7 საათ.
მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპ ო სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალება.

გუშინ წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარემ გ. ზდანოვიჩმა დ. კარიჭაშვილისგან, თფილისიდან დეპეშა მიიღო მგოსან ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების შესახებ.

ვაჟა-ფშაველა.

ვაჟა-ფშაველა მოკვდა! მოკვდა საკვირველი ® მუდმივი ჭაბუკი მთებისა, რომელსაც ბედმა ყველაფერი მისცა საუცხოვო ნიჭიც და ნაზი სულიც და უნარი იმ საკვირველ ლექსთა თქმისა, რომელთა კითხვა სამუდამო გასართობი იქნება ადამიანის სულისა და ფიქრისთვის. მისი ნიჭი ყველასაგან აღიარებულია, ხოლო სული, რომელიც ტრიალებს მის თხზულებებში, ყველა სულზედ უფრო სალი იყო ჩვენ შორის და ადამიანს ცხოვრებასა და სიცოცხლისკენ უხმობდა. მის არსებაში გამოიხატა მთელი ჩვენი თანამედროვე ცხოვრება, მაგრამ ამასთანავე გზა მომავალისკენ. გარეგანის მორთულობით მისი სალი და მდიდარი სული, ისევე ღარიბი იყო, როგორც გარეგანი ფორმა მთელი ქართულის კულტურისა; ღარიბი ჩოხა, ჩვეულებრივი სახე სადა ქართველისა და ავადმყოფი, მუდამ აცრემლებული თვალი—განა ეს სურათი არ არის მთელი საქართველოსი? მაგრამ როგორც საქართველოს წიაღში, ამ ღარიბსა და გარეგნობით უფერულ საწყაოში, ისე მის არსების ღარიბ გამოსახულებაში, მუდამ იბრძოდა თამამი და ცოცხალი

სული მომავლისა და იგი მღეროდა ისე, როგორც არავინ, საქართველოს უკანასკნელ პოეტებში. სრულებით მეტია ვსთქვათ, რომ მისი სიკვდილი დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისია ჩვენის ლიტერატურისთვის. დეე სხვებმა სთქვან რომ ჩაქრა უკანასკნელი სამხვერპლო პოეზიისა. იგი ჩვენ-ადამიანთა შორის სცხოვრობდა და მისი სიკვდილი უფრო ბუხარში ჩამქრალ ცეცხლსა ჰგავს, რომლისაგან ყველა ჩვენ სითბოს ვღებულობდით, ვიდრე სამსხვერპლოს ჩაქრობას, რომლის ადგილი პარნასია და სადაც ჩვენ უბრალო ხალხს გზა შეკრული გვაქვს. მისი სიკვდილით ჩვენ მოგვაკლდა ეს სითბო და ერთი ხმით მაინც შემცირდა ის ძახილი რომელიც ტანჯვაში და უბედურებაში მყოფ ერს ახალისებდა მომავლისთვის ბრძოლაში.

იგი სცხოვრობდა მთებში, ახლოს თავის ხალხისა და მის ყოველდღიურ ვარამსა და მცირე ლხინს შუა იყოფდა.

მისი ლიტერატურული მიმართულება, მისი გემოვნება და განსაკუთრებული ყურადღება, რომლითაც იგი ექცეოდა თავის ხალხს—მთის ქართველებს, ძალაუნებურად იწვევს შედარებას. ამ მხრივ იგი ძლიერ წაგავდა პროვანსალის მგოსანო მისტრალს, რომელმაც მთელი ეპოსი შექმნა პროვანსალურ ცხოვრებისა. ვაჟაფშაველამაც შექმნა ეპოსი თუშფშავ-ხევსურთა ცხოვრებისა. მისი პროპაგანდა ჩვენი ერის ამ ხალხის ზნე-ჩვეულებისა და მსოფლ-მხედველობისა ძლიერ დიდი იყო და ამასთანავე საჭიროც, რომ ჩვენ მოდუნებულ სიცოცხლისთვის ახალი ენერგია და სული შთაებერა. მაგრამ ჰორიზონტი ვაჟა-ფშაველას საერთო მსოფლმხედველობისა უფრო ფართეა, ვიდრე მისტრალის, ან ამგვარივე ტიროლელ მწერლის პეტერ როზზეგერისა.

სცხოვრობ და რა მთებში, ამ სადა და უფერულ ღარიბ მთრთულობაში მას სტანჯავდნენ ყველა ის იდეები, რომლითაც ალსავსეა მთელი ინტელექტუალური ცხოვრება ჩვენი მდიდარი დროისა. და იქიდან, ამ მიუვალ მთებიდან, იგი მუდამ პოულობდა გამოსავალ ბილიკებს, გამოეგზავნა ჩვენთვის თავისი საკვირველი თხზულებანი, ნაყოფი საკუთარ განდეგილობისა, თხზულებანი, რომელშიც ჩვენ გვხიბლავდა და ახლაც გვხიბლავს მისი მსუბუქი ლექსი, ღრმა აზრები და ის ცოდნა ადამიანის სულის მოძრაობისა, რომელიც, თანამედროვე ქართველ მწერალთა შორის, ყველაზედ მეტათ მას ჰქონდა მინიჭებული ბუნებისგან.

და ასეთი ადამიანი აღარ არის! მთელი საქართველო მწუხარებით შეხვდება მის სიკვდილს და დაინანებს იმ ადამიანის სიცოცხლეს, რომელიც ერის გაჭირვების ცრემლებიდან ლექსების საუცხოვო მძივს ასხავდა და ამ ლექსთა მძივით ამკობდა საქართველოს დასერილ გულმკერდს და არასოდეს არ დაივიწყებს იმ ადამიანს, რომელიც ტანჯვისა და მწუხარების ქვეყნიდან საუკუნოთ გადავიდა იმ სოფელს.

ვ. ამირეჯიბი.

ამონაკვნესი.

„დღემ დაიხურა პირ-ბადე, მთებმა დახუჭეს თვალები“... სამუდამოდ დახუჭა თვალები ვაჟამაც!..

ძნელია ამისი თქმა, მაგრამ შავმა სიკვდილმა თავისი გაიტანა და „მთის ვეფხი“ ერთი ხელის გაქნევით ძირს დასცა, დააღუმა, გამოაკლო ქართველ მწერალთ რიცხვს სურნელოვანი ყვავილით შემკული ცაცხვის ხე, რომლის ჩრდილს ქვეშაც ისვენებდენ უბედურ სამშობლოს უბედური მეოცნებენი!..

დიაღ, მეოცნებენი! რადგანაც ჩვენ ვაგლახ ცხოვრებაში ჯერ ოცნების მეტი არა დარჩენიათრა იმათ, ვინც იმითაც კმაყოფილნი არიან, რომ მათ სამარეს ამკობდეს მთების დეკა დალვიანი, ოღონც კი სამშობლო მხარემ თავისუფლად ამოისუნთქოს და ოცნება ტანჯულის ქვეყნის მაღლა სერზე აღარ ქვითინებდეს.

შეიძლება იმ დროს მაინც გაიხარონ ქვეყნის ჭირისუფლებმა და ღირსეულნი ღირსეულ ცხოვრებასა და პატივისცემას ეღირსნენ.

დღეს კი, დღეს, ვაჟასთანა ბუმბერაზებიც კი კელაპტარივით დნებიან სადღაც მიყრუებულ ხევებში, უპატრონოთ, უთანაგრძნობოთ... მაგრამ, ვით ამ კელაპტრის შუქი ანათებს ხოლმე ოხრათ შთენილ ტაძრის წყვდიადს, ისე ვაჟას ჩანგი ანათებდა შავბნელით მოცულს ჩვენს ცხოვრებას და ერთხელაც იქნება გამოფხიზლებული ქართველი ერი აუგებს მას ძეგლს უმკვიდრესს იალბუზზე და უსპეტაკესს—მყინვარზე.

ვაჟა იყო მკვნესარე სული ჩვენის ერისა და მხილება ხალხოსნური სინიდისისა.

და, როდესაც სული ერისა მოიპოვებს თავის სიმშვიდეს და სინიდისი ხალხისა გაიწმინდება ზედ-ნაშენ, სხვისგან დამძიმებულ ცოდვებისაგან მთელი საქართველო ლოცვად დადგება იმ ქურუმის წინაშე, რომელმაც მარგალიტებათ აასხა საუნჯენი ჩვენი ერის გმირობისა, სულის კვეთებისა, მისწრაფებისა და აღმაფრენისა.

მანამდის კი ვიტიროთ, ვიტიროთ, მეგობრებო, ვაჟა კი არა, ვიტიროთ ჩვენი თავი—რომ ვერ მოვუარეთ გულსა ჩვენის გულისას და სულსა ჩვენის სულისას!...

ცაზედ დამქრალან ვარსკვლავნი,
პირი ემურვის მთვარესა,
მთანი თავ-ჩაჰქინდრულნი,
ფიქრს მისცემიან მწარესა!

მწარეა, მწარე, ძალიან ვაჟა შენი სიკვდილი და ერთი ორათ მწარეა იგი შენი მახლობელი მეგობრებისათვის...

გული მტკივა... თითქოს გახურებულ შანთებს მიტარებდენ მთელს არსებაში... ცრემლი მარჩობს, კალამი აღარ მემორჩილება...

მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!...

ია ეკალაძე.

აღსრულდა...

ადამიანის ბუნების დახურდავებამ გული გააწყალა! წვრილმანი ინტერესები, წარმავალზე ფუსფუსი და ზრუნვა, უშედეგო ფიქრები ავსებენ ჩვენს არსებას.

ბრძოლის უნარიც მიმქრალა, არ სცემს სიცოცხლის ძარღვი.

დღეის საქართველო სიმანხიჯის სახეს ატარებს; ფიქრები, მარტო უნაყოფო ფიქრები და გაცრუებული იმედები...

კარგია ამ დროს რწენის გაღვივება' კარგია წარსულზე ფიქრი.

და ამ წარსულის, ჩვენი მიმქრალი სრამაყის შვილის ფანდურის ხმები...

ერთი ლა დაგვრჩა მრავალთა შორის, მარტო მისი ხმა სწვდებოდა ჩვენი გულის სიღრმეს და იქ სიამაყის და სიმტკიცის ნაკადულს წარმოშობდა.

გატეხილი ნება ქართველისა გამთელებას ლამობდა, მიმქრალი ვნება ქინ მორევით წყურვილს გვიღვიძებდა.

ვისმენდით ჰაღარა არწივის ვნებიან ყივილს და სიყვარულით ვიცქირებოდით საარაკო წარსულისაკენ; ჩვენც ორგანიულად ვუკავშირდებოდით ამ წარსულს და სიცოცხლის საიდუმლო ნაკადს მასში ვპოვებდით.

თუ რომელიმე მგოსანს უფლება ჰქო-

ორი დედა.

(სურათი.)

— ჩხიტ! ჩხიტ! ჩხიტ!

უცნაურათ ჩამოიკვნესა ერთ დილას, ხის ტოტზე ჩამოსკუპულმა ბულბულმა.

— ჩხიტ! ჩხიტო!

უცებ გამოეხმაურა მას მეორე, მასზე უფრო ტანმორჩილი, მაგრამ უფრო ცქვიტი, მალხაზი ჩიტუნა და მარდათ გვერდში ამოუჯდა.

ბულბულმა ფრთები შეანძრია...

პატარა ჩიტუნიამაც, თანაგრძნობის ნიშნათ, გაისწორა მხრები, ნისკარტი ხის ტოტზე გაუსვ-გამოუსვა—გაიწმინდა და თითქო საარშიყოთ ემზადებაო, უფრო ახლოს მიგოგდა, ეშხიანათ ყელი გადმოუღირა და ალერს-ჭიკჭიკით მიეხმატკბილა.

მერე, მეორე ტოტზე გადახტა, შემდეგ უკანვე მობრუნდა და ასე მოუსვენრად გარს უტრიალა. ეტყობოდა ბულბულის ნაღვლით სავსე გულს, თავის მხურვალე თანაგრძნობის სხივით უცისკროვნებდა, მწუხარებას უმსუბუქებდა...

ბულბულმაც იგრძნო... უცებ კვნესა შესწყვიტა... მწუხარების კლიტულში ჩატყვევებულს მის ჯავრით სავსე გულს, თითქო სალავათის კარები გაეღო...

თავისუფლად ამოისუნთქა...

თავისი ჭრომახა პატარა ფრთები იმანაც შეათამაშა და მეგობარს ტკბილად მიესალმა, მაგრად გადაკოცნა... მაგრამ...

მაგრამ [illegible]ოთ...

ხანგრძლივი არ იყო მათი ჭიკჭიკი, ხვევნა, ალერსი, ტკბილი თანაგრძნობა!.

დედის დამწვარ გულიდან ამოზღვავებულ ნაღველს მეგობრობა ვერ აჩერებდა! დედის ცრემლებში გაბანილი კვნესა გოდება სიპ კლდეს აპობდა...

ადამიანს კი ატირებდა, ათვალცრემლებდა.

დედა ბულბულა ხიდგან ხეზე ვარდებოდა. ხან მიწაზე მოწყვეტილად დაასკდებოდა... ნისკარტიდან სისხლსა ღვრიდა-იკაწრებოდა.

მაგრამ არსაიდან ხმა, არსაიდან მაგიერი გულის ტკივილი!!..

გარშემო ბუნება კი, როგორც ყოველთვის, ისე დღესაც სდუმდა, ყურს არ იპერტყდა...

მხოლოდ მჩატე ნიავი, გვადრუცი კუდრაჭა მელის მსგავსად, ქურდულათ, ეზოში შემოჭრილიყო და მის ცელქურ სისინში, რაღაც უცხო ხმები გამოისმოდა.

— რა იყო? რას კვნესი! უკუღმართ ბედზე ღაბადებულო!.

— ჩხიტ! ჩხიტ! ჩამოიძახა ისევ ბულბულამ.

შვილი წამართვეს, შვილებს დავეძებ! აი, ჩემი კვნესა, ჩემი ტკივილი!.

— მერე, აქ რას ეძებ?! აქ ხომ არ არის?.

— დიახ, აქ არის! იმასა ვსტირი. ხრამში აგდია გულ გაპობილი!

ჩაიკვნესა გულ საკლავათ დედა ბულბულამ და ნაღვლიანათ მორთო ქვითინი:

— დიახ, ბატონო! ერთხელ მეც ვიყავ სიყვარულით გატაცებული, ქმარშვილიც მყავდა, თან ოჯახიც აყვავებული.

მწვანით მოსილ მინდორ-ველში გალაღებული, ქმარშვილს ვუვლიდი, მათ ვპატრონობდი, თავს ვევლებოდი...

ხუთი შვილი, ყველა სალი, ჩემს ფრთებ ქვეშ ვზარდე, დავაძალღონე, ჭამა ვასწავლე, შრომა ვუკურთხე, ყველა საშრომლათ გადავაფრინე, მაგრამ მეექვსე, სწორეთ იმ დროს, როცა მას შრომას ვასწავლიდი, ვავარჯიშებდი,

მტერმა მომტაცა და აი, აქ,—ხის ქვეშა გდია, მკერდ გაპობილი.

დიახ, ამას ვეძიებ, მინდა ვიხილო...

ჩემი ცრემლებით დავიტირო, ტანი დავბანო!.

მერე, მაგრათ გულს მივიკრა, გრძნობით ვაკოცო და დედის მკერდში საუკუნო ბინა უჩვენო.

ამისათვის, თუმც მეც მომკლან, არას დავეძებ, ოღონდ კი მასთან, ერთად ვიქნე-ცივ სამარეში.

დღეს, არც სახლი მაქვს, არც ქმარშვილი, ობლათ დამაგდეს, ყველა მომტაცეს, დამანგრიეს, სიკვდილს მანატრეს; მაშ, რაღათ მინდა კვლავ სიცოცხლე უქმარშვილებოთ?!

ოხრათ ვეთრიო სოფლიდგან სოფლად ულუკმაპუროთ?!

დაე! ისევ სიკვდილი და სიკვდილი ჩემ შვილთან ერთად, რომ საიქიოს მაინც გავძღე მის სიყვარულით!!!

ეს ნაღვლით სავსე სიტყვები გარკვევით ესმოდა ოთახში მწოლარე მაკრინეს და მის მწუხარებას კიდევ უფრო უორკეცებდა.

ფიქრებით შეჯაჭვული, დიდხანს იდგა მაკრინე გაშტერებული.

ოცნებამ იგი შორს, ძლიერ შორს გაიტაცა. ბულბულას სიტყვებმა მისი წარსული წარმოუდგინა.

აგერ, ის ნეტარებით სავსე ზაფხულის ღამე, ბაღში მარტო, მის ნიკოსთან! როდესაც ჯერ ჯვარ-დაწერილნი კიდევ არ იყვნენ?!

აი, მისი ტკბილი კოცნა, ხვევნა-ალერსი და ამის შემდეგ პირველი შვილი, მისი დაბადება, იმისი აღზრდა, კორპუსში წასვლა...

ის, თუწერელი სიხარული, სიყვარული და სიტკბოება, აწმყოთი კმაყოფილება, მომავლის რწმენა, როცა კურს დამთავრებული, სრული აფიცერი კოტე, დედას შინ უბრუნდება!!!

გაიხსენა ყველა ეს და მწარე ნაღვლიანათ ამოიხვნეშა...

დედა მაკრინე ერთ დროს ბედნიერი ოჯახის პატრონი იყო.

ქმარი სამხედრო კაცი-პოლკოვნიკი. შვილი-ერთათ ერთი ძე-კოტე აფიცერი, ისიც სამსახურში-დედა მაკრინეს სრულ ბედნიერებას ანიჭებდა.

— ბედნიერია ჩვენი მაკრინე! იტყოდენ ხოლმე მაკრინეს მეზობლები.

— ნინატრივით ჰყავს ერთად ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდა თვისი თავი ჭეშმარიტ საქართველოს ძუძუზე აღზრდილად მიეჩნია და მისი ტრადიციები ტ ვნებული სული ღრმად ეყო ასეთ მგოსნებში პირველი ადგილი უცილოდ ვაჟას ეკუთვნოდა. იგი მთელის არსებით, სისხლითა და ხორცით გადაჯაჭვული იყო ამ მშობლის მკერდზე.

მაგრამ ეს კიდევ არ კმარა; თაობა თაობასა სცვლიდა, ძველი დიდება ჰქრებოდა, ჩვენც, ვით პაწია კაცუნები ახალ ვითარებაში თავისუფლად ვთავსდებოდით, ბრძოლის ყიჟინას დავიწყებას ვაძლევდით და პასიობას ვეზიარებოდით. ჩვენ გვესმოდა ახალი ანდერძი, რომ წარსულის აღდგენა შეუძლებელია და „უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“; მაგრამ ეს მომავალი ფრიად ვიწრო მასშტაბით განიზომებოდა და აქტიობას გადაჩვეულნი, ვნება დამცხრალნი საქმიანობას გავურბოდით. ჩვენ გვეშინოდა მოქმედების, დამოუკიდებელ აზროვნების, დამოუკიდებელ ცხოვრებაზე ფიქრის.

შევეთვისეთ მონობას და ეს საშინელება ნორმალურ ყოფად ვაქციეთ.

და ამ დროს სადღაც შორს, მიუწდომელ თოყლიან მთებში გაისმოდა მტკიცე ხმა, ჟინმორეული სიმღერა.

მარტო იგი, წინაალმდეგობითა და აქტიობით დატვირთული პიროვნება ვერ ურიგდებოდა ჩვენს ინერტიულ ცხოვრებას, ჩვენს პასიურ ყოფას.

ბუნება მისი ლაღად შლილი, ვნების წყურვთლით აღვსილი, ვერ თავსდებოდა არსებულ პირობებში, ვერ ესხეულა გადაგვარებულ და დაბეჩავებულ საქართველოს. იგი თვით განხორციელება აქტიობისა, მოქმედებას ეძიებდა, მოძრაობის წყურვილი კლავდა, მაგრამ ირგვლივ საშინელი სიჩუმე სუფევდა.

და სწორედ აქ ჩაისახა ვაჟას შემოქმედებითი ტრაგედია. იგი ეძიებდა სიცოცხლეს და მარტოოდენ მომაკვდავის კვნესა ესმოდა, იგი ეძიებდა გმირს ჩვეულებრივს წარსულისათვის და ზეკაცს აწმყოსათვის. მხატვარს პოტენციალურ ენერგიის გაშლა სწყუროდა მოქმედ და მთლიან პიროვნების სახით, მაგრამ იგი პიროვნება დღეს ვერსად იპოვნა მან და განამწარები მგოსანი, ძლიერი თავის სიამაყით, რომელსაც არ უნდა ლაჩრულად ცრემლი ღვაროს, განშორდა ბარს, ჩვენს დღეის მახინჯ და დამახურდავებელ კულტურას.

გულმოკლული მგოსანი მიეფარა ამავე მთებს და ფშავხევსურებს ასმინა ფანდურის ხმები.

აქ ცოცხალი იყო თამარი, აქ კიდევ ხელშეუხებლად შენახულიყო წარსული დიადი სახე, ჭეშმარიტ ქართველის ვნებიანი სული.

და სწორედ აქ გაიშალა ჩვენგან გულმოკლული მგოსნის შემოქმედება. სიცოცხლის და აქტიობის წყურვილით აღვსილი ფშაველი, იარაღში ჩასხმული, ისმენდა ვაჟას ხმებს და მზად იყო ყოველი წადილი მოქმედების სახით ემჟღავნებინა, რეალურის აქტით გამოესახა.

„ჟინმორეულმა შეაღღარუნა ფანდური“ და იმედის ცეცხლი მოედო მთის წვერზე და იგი უცნაური ხმები წარმტაცად მოევლინა ბარსაც და თვისი მომხიბლავის სიუცხოით ჩვენშიაც აღძრა მოქმედების, აქტიობის წადილი... მაგრამ ვაჟა ბოლომდის დარჩა ბარით უკმაყოფილო; მონური ატმოსფერა მის მდიდარ ბუნებას ვერ იტევდა და იგიც ჩვენ შორის არ დაეძებდა გმირებს. აქ იგი ადამიანებიდან ბუნებაზე გადავიდა და მის წიაღში ეძიებდა სანეტარო აქტიობას, ვნების ძალას და მოქმედების სახეს.

ამიტომ ბარში ვ ჟა უმეტესად ცნობილია, ვით სიმბოლისტი, ბუნების საუკეთესო მხატვარი და მისი მოძრაობის გადმომცემი. მთებში კი იგი რეალობის მგოსანი იყო, მისი გმირები. სცოცხლობდენ და უკანასკნელნი ჩვენ ზეკაცად გვევლინებოდენ... ჩვენი არსება პლატონიურად ეტრფოდა ამ გმირებს და გაწმენდას ლამობდა, რათა წარსულის სიდიადეს ზიარებოდა. ჭეშმარიტ ქურუმად, მოძღვრად აქტიობისა იქცა იგი, და, მაშინ, როცა ბარიც თანდითან განემზადა, რათა მის ალში გაევლო დაწვრილმანებული სული და ზეკაცის არსებას დაკავშირებოდა, შესწყდა ფანდურის მომხიბლავი ხმა...

იღსრულდა! უკანასკნელი სარდალი ძველი საქართველოსი ჩაესვენა. ერთი მძლავრად ამოიყივლა არწივმა, რომელსაც ასე სწყუროდა მტრის სისხლით დათრობა და ამაყად მოკვდა.

„ვერ მააწონებთ ვაჟასა, რაც არ უჯდება ჭკვაშია„..

და ვერც ჩვენ მოვაწონეთ მას ჩვენი ახალი გზები, ახალი სახე.

იგი მთელის არსებით წარსულის ძღვამოსილების მგოსანი იყო და ამ წარსულზე სიმღერაში დალია სული.

ასეთ ძლიერ ინდივიდუალობით გამოქანდაკებული სახე მთელის დეტალებით არასოდეს არ მეორდება და ვაჟას ადგილი მუდამ ცარიელი დარჩება ჩვენს პოეზიაში. ასეთ ობოლ მარგალიტს მარტოკა ძველი საქართველოს ამაყი სული თუ დაიტევდა.

ობოლი არწივი მყინვარის წვერზე ბულ-გიპობილი დაეცა. მისებრ ამაყნი ფშაველნი თავჩაქინდრულნი სხედან და ნაღველს და ცრემლს არაყში ახშობენ. მაშ როგორ მოიკლან უსაზღვრო დარდი მთიულებმა?

აკაკი ფაპავა.

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

ალმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 27 ივლ. ოფიც. მთავარსარდლის შტაბისაგან. დვინასა და ნემანს შუა ფრიდრიხშტატის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მტრის ჯარს მდ. ნემანისკის მარჯვენა ნაპირისკენ უკან დაახევინა შემბერგის ზემოთ. ვილკომირის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ გავდენეთ რამდენიმე სოფლიდან გერმანელთა მოწინავე რაზმები. წამოვიყვანეთ რამდენიმე ათეული ტყვე. 26 ივლ. მტერმა განაახლა კოვნოს იერიშები. მტერი მძიმე ყალიბის არტილერიას ესროდა მთელი დღის განმავლობაში ჩვენს პოზიციებს. მტრის იერიშები მეტათ მედგარია. ახლათ მიღებული ცნობებით გერმაველთა იერიშები კოვნოს დასავლეთის ფრონტის წინააღმდეგ მოგერებულია და მტერი დიდათ დაზარალდა. ჩვენი არტილერია მარჯვეთ უპასუხებს მტერს. ოსოვეცთან და ედვაბნოს რაიონში სროლაა ნარევის მარცხენა ნაპირზე, განსაკუთრებით ბრძოლ ებია ლომჟის მიმართულებით ლომჟა—ოსტროვის გზის ჩრდილო ნაწილში. ვლოდავის გზაზე, ბუგზე, ზოლ. ლიპაზე და დნესტრზე ცვლილება არ მომხდარა.

26 ივლისს ცხრა ჯავშნოსანისაგან, 12 კრეისერისაგან და მრავალი ნაღმოსნისაგან შემდგარმა გერმანიის ფლოტმა რიგის ყურეში იერიში მოიტანა. იერიში მოვიგერეთ. იერიშის მოგერების დროს გვშველოდენ ჩვენი ჰიდროპლანები. ჩვენმა ნაღმებმა ააფეთქეს მტრის ერთი კრეისერი და ორი ნაღმოსანი.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 26 ივლ. საღამოს ოფიციალ. ცნობა. ფრონტის დასავლეთის ნაწილში არტილერიის ბრძოლაა ბელგიაში სუენსტრაასტის სექტორში და ხეტზასში. არტუაში, სენკერკის ფრონტზე, ენის ხეობაში სოყასანს ესროდენ. არგონის სანგრებში ბრძოლაა. ვევრში არტილერიის ბრძოლაა, განსაკუთრებით ფლირისა და ლეპლეტრის ტყის რაიონებში. ვოგეზში გერმანელებმა ხელახლა მოიტანეს იერიში, მაგრამ დამარცხდენ. მტერი ესროდა ხილჯანფირსტს.

იტალიის ასპარეზი.

რომი. 24 ივლ. (დაგვიანებულია). წარსულ ღამით ჩვენმა ჰაეროპლანმა ყუმბარები ჩამოყარა პოლაში. გამოურკვეველი მიზეზის გამო ჰაეროპლანი წყალში ჩავარდა. სამი აფიცერი და სამი ჯარისკაცისაგან შემდგარი კომანდა მტერს ტყეთ ჩაუვარდა ხელში.

რომი. 26 ივლ. ტონალის რაიონში ჩვენმა ალპის მსროლელებმა იერიში მიიტანეს მტერზე და ერკავალოს მაღლობიდან გაფანტეს. ხელთ იგდეს ფუგასები და სხვა სამხედრო სურსათი. 3000 მეტრის სიმაღლეზე მდგომმა ჩვენმა სამთო არტილერიამ მალგიდან განდევნა მტერი. სექსტენისა და კოდორის ხეობაში ჩვენი არტილერიის დახმარებით ჩვენმა ქვეითა ჯარმა წინ წაიწია. მტერს ვავიწროებთ მონტენეროს ფრონტზე და ბურგსტალთან. 26 ივლ. მტერმა რამდენჯერმე უმნიშვნელო იერიში მოიტანა და სცდილობდა ჩვენი სანგრების წინ საფრები გა-

---

ძე და ისიც როგორი? აფიცერი გვრიტივით ბიჭიო! იტყოდენ ხოლმე ზოგიერთები, როცა მაკრინეს ქმარშვილზე ლაპარაკი ჩამოვარდებოდა.

— რაღა იმ დალოცვილმა ღმერთმა მარტო მაკრინესათვის მოიცალა! შენატროდენ მეზობლის ქალები და ზოგი მათგანი შურის თვალითაც უყურებდა მაკრინეს ამგვარ ბედნიერებას. დიახ, ბედნიერი იყო ჩვენი მაკრინე, მაგრამ, საუბედურო, ეს ბედნიერება ძლიერ ხანმოკლე შეიქნა.

როცა პირველი ომი გამოცხადდა, მაკრინეს ქმარი, თავის ჯარით მაშინვე გაგზავნეს. შვილიც მალე მოითხოვეს და ეს, რამოდენიმე დღის წინეთ, თითით საჩვენებელი ბედნიერი ოჯახი, დღეს მარტო ერთი დედაკაცის ხელში ღა დარჩა.

თუმც წინეთ ამ ოჯახიდგან მუდამ სიმღერა, მხიარული კიჟინი გამოისმოდა, დღეს კედლები სდუმდენ, ფანჯრებს შავი, სამგლოვიარო ფარდები აბნელებდენ.

დედა მაკრინეს სიმღერა-კისკისის ნაცვლათ, მწარე კვნესა, გულდამწვარი ტირილი ღა მოისმოდა მისი ოჯახიდგან.

თუ წინეთ, თავის მეზობლებში მაკრინე უკიდურესი ბედნიერი იყო, დღეს იმავე მეზობლებ შორის იგი სწორეთ ყველაზე უკიდურესი უბედური შეიქნა.

ჯერ, ქმრის უგზო—უკვლოთ დაკარგვის ამბავმა გაამწარა.

მერე, ბრძოლის ველზე, შვილის სიკვდილმა სიცოცხლე მთლათ მოუშხამა... უკიდურესმა ჯავრმა სულიერი ძალა, ენერგია მოუდუნა, ფიზიკურათ დაადნო, დაასუსტა და მძიმე ავათმყოფი ლოგინათ ჩააგდო..-

დღეს გაზაფხულის მშვენიერი დილა იყო.

მზის სხივებს ყველაფერი გაეთბო, მიდამო თვის ალერსით გაეძღო...

მაკრინეს გაცივებულ ძვლებსაც ეგრძნო დღეს მზის სხივების სიუხვე, სითბომკურნალება და ლოგინში წამომჯდარი, გაღებულ ფანჯრებში, მზის სხივებს თავის ოთახისათვის იჭერდა...

თან გამწარებულ ჩიტის მოთქმა-ტირილს გულმოდგინეთ ყურს უგდებდა და დრო გამოშვებით, გულნატკენი მწარეთ ოხრავდა...

დიდ ხანს ისმენდა დედა მაკრინე ჩიტის გოდებას და მის გულის ტკივილს საიდუმლოთ იზიარებდა...

ბოლოს უცებ შეჰყვირა:

— არა, სტყუის, დედა სტყუის ბელურა! ის არ არის მთლათ უბედური!

ხუთი შვილი ჰყავს, ყველა დაზრდილი, დამთავრებული. მეექვე მკვდარი, მაგრამ წინ უძევს, აი, აქ არის!

თავზე დასტირის, გულს იოხებს, სევდას ისუსტებს. აქვე გაუთხრის ცივ სამარეს—მას მიაბარებს, და მშობელ მიწას გულს დააყრის, აქ გაასვენებს!..

მე?! მე კი ბედკრულმა სად მოვნახო ჩემი ქმარშვილი?!

სად, დავიტირო ჩემი შვილი, ჩემი ღვიძლი, ქოჩორა ბიჭი?!

სად, მივაბარო მშობელ მიწას დაწიწკნილი მისი გულ-მკერდი?!

სად, გადუშალოს დედა მისმა დამწვარი მკერდი და გრძნობიერათ მაგრათ, მაგრათ მიიკრას გულში?!

აჰ! მითხარით! მითხარით ცაო! მიპასუხე დედა მიწავ!!

ხმა გამეცი შენ, შენ მაინც ცოდვებით სავსე,

მგელ-მუცელა ადამიანო!?

ის, მკვდარს მაინც ხედავს და ჩემთვის კი არც მკვდარია, და აღარც ცოცხალი!..

ის, დრო გამოშვებით საფლავზე მივა. ია ვარდს დარგავს.

საფლავს უკურთხევს.

მე? მე სად ვეძიო მათი საფლავი?!

— ზარბაზნის ტუჩში? ზღვის უფსკრულში? თუ მინდვრათ გაფერანებულ ჭალა ბუჩქებშ.?!

სთქვა ეს სიტყვები და ავათმყოფმა მორთო ტირილი:

მის ტირილში, ცრემლით ნაბანი, მოისმოდა მწარე კითხვები:

„ახლა მითხარით“ გულახდილად, დაუფარავათ: მე ვარ ბედნიერი თუ ის, ის, ბედკრული, გულ-დამწვარი დედა ბელურა?!.

თეოფ. ხუსკივაძე.

დ. ოჩემჩირე.

ომის დღიური.

ჩრდილოეთის რაიონში მტრის მოქმედება თანდათან ვითარდება, როგორც მიღებული დეპეშებიდან სჩანს, მტერს განუზრახავს რიგისკენ გაჭრა. ამის გულისთვის ის ორივ მხრით ემუქრება რიგას: ხმელეთიდანაც და ზღვიდანაც.

ხმელეთით მტერს წინ წაუწევია და შეტევა დაუწყია ფრიდრიხშტადტის მიმართულებით. ფრიდრიხშტადტი ბაუსკის აღმოსავლეთით მდებარეობს რიგის ქვემოთ მდ. დვინაზე. აი ამ მიმართულებით რუსის ჯარმა გერმანელებს ჯარს უკან დაახევინა.

ამასთანავე მტერს იერიში მიუტანია რიგის ყურეში. მტრის ფლოტი 12 დიდი გემისაგან და 9 კრეისერისაგან ყოფილა შემდგარი, მაგრამ ეს ცდა მტერს ძვირათ დაჯდომია. რუსის ნაღმებზე აფეთქებულან ერთი კრეისერი და ორი ნაღმოსანი.

გერმანელებს დაუწყიათ კოვნოს სიმაგრეების სისტემატიური ალყა და მის საწინააღმდეგოთ უკვე აუმოქმედებიათ მრავალი დიდ ყალიბიანი იარაღი.

კოვნოს დასავლეთის ფრონტზე რუსებს მოუგერებიათ გერმანელთა იერიში. ასევე მედგრათ მოქმედებენ გერმანელები ოსოვეცთან და ედვაბნოს რაიონში. მათი იერიშები მომართულია აგრეთვე ლომჟა-ოსტროვოს გზის წინააღმდეგ. ცვლილება არ მომხდარა სამხრეთის ფრონტზე. ერთი ხანია აქ სიწყნარე ჩამოვარდა. ვლოდავა (ბრესტის სამხრეთით მდებარეობს, ხოლმის თითქმის შუა გზაზე), ზოლ. ლიპაზე და დნესტრზე ცვლილება არ მომხდარა.

ეკეთებინა. ჩვენმა არტილერიამ ცეცხლი დაუშინა დევეტაკიდან მომავალ მტრის კოლონას და მარკოტინის მახლობლათ ცეცხლი გააჩინა.

შვეციის ნეიტრალიტეტი.

ლონდონი. 26 ივლ. რეიტერის სააგენტოს შეძლება აქვს გამოაცხადოს, რომ ხმებია თითქოს შვეციას ნეიტრალიტეტის დარღვევა სურდეს, ყოველივე საფუძველს მოკლებულია. შვეციას წინანდებურათ გადაწყვეტილი აქვს დაიცვას ნეიტრალიტეტი. ხმები, თითქოს შვეციას ფინლანდიის დაკავება სურდეს სიცრუეთ მიაჩნიათ პასუხისმგებელს სფეროებში. რუსეთისა და შვეციის დამოკიდებილებას საკმაოთ ახასიათებს საზონოვის სათათბიროში წარმოთქმური სიტყვა.

გემის ჩაძირვა.

ლონდონი. 26 ივლ. ჩაიძირა შვეციის გემი „მალალანდი“, გემი „გლენრაბენი“ და სათევზაო ნავი. კომანდა გადაარჩინეს.

„მალმლანდი“ 4000 ტონის წყალწყვისა იყო და აქციონერულ საზოგადოებას ეკუთნოდა, რომლის მთავარ აქციონერათ საზღვაო მინისტრი ითვლება.

ქრისტიანია. 26 ივლ. წყალქვეშა ნავი დაედევნა ქრისტინიიდან გარტპულში მიმავალ ტყის მასალით დატვირთულ ნორვეგიის გემს.

ბულგარეთი.

სოფია. 22 ივლ. (დაგვიანებულია). ბულგარეთის სააგენტო იუწყება, რომ მოკავშირეთა წარმომადგენლებმა გუშინ საღამოს მინისტრ-პრეზიდენტ როდოსლავოვს გადასცეს ბულგარეთის ნოტაზე თავის მთავრობათა პასუხი, რომლის შესახებ ცნობასაც ჯერ-ჯერობით საიდუმლოთ იცავენ.

ავიატორების გპარვა და მკთი შეპყრობა.

კოპენჰაგენი. 27 ივლ. აალბერგიდან გაიპარენ გერმანიის ავიატორები. გაპარული ავიატორები შეიპყრეს სოფ. გისტრუპთან.

სომხების მდგომარეობა.

სოლუნი. 25 ივლ. სტამბოლიდან მოსული ცნობებით, ვიტლიის ვილაიეტში ქურთებმა ხუთი დღის განმავლობაში ამოჟლიტეს 10,000 სომეხი—იმის გამო, ვითომც ისინი რევოლიუციის მოხდენას აპირებდენო. მოკლულები ჩაყარეს ტიგრსა და ეფრატში. სტამბოლში ჩამოახრჩვეს შვიდი სომეხი. იტალიის რამდენიმე კონსული ოსმალეთიდან გავიდა. იტალიის ელჩი ამ დღეებში დასტოვებს ოსმალეთის სატახტო ქალაქს.

პრინცესსა ესმა გაშორდა თავის ქმარს ენვერ ფაშას, რადგან მასსიგი ოსმალეთის უბედურების დამნაშავეთ მიაჩნია. პრინცესსა სულთანის სასახლეში დაბრუნდა.

იაპონიის ახალი სამინისტრო.

ტოკიო. 27 ოკუმამ დემისია უკან მოითხოვა. სამინისტროს ახალი შემადგენლობა შემდეგია: პრემიერი და გარეშე საქმეთა მინისტრი—ოკუმა, შინაგან საქმეთა მინისტრი—ნივი, ფინანსთა—ტაკატამი, —საზღვაო—ადმ. კატო, განათლების —ტოკატო, გზათა—მინურა, სამხედრო—ოკა, იუსტიციის—ოზაკი, ვაჭრობის—კონო.

სახ. სათათფირო.

პეტროგრადი. 27 ივლ. სათათ. ფინანსიურმა კომისიამ დაამთავრა შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შემოღების კანონ-პროექტი. კანონ-პროექტის განხორციელების ვადათ დანიშნულია 1 იანვარი 1916 წ. მინისტრის აზრით. კანონი უნდა მუდმივი იქნეს, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლება ფინანსთა უწყებას მოახდინოს შესაფერი ცვლილებანი.

ქურნალ გაზეთებიდან.

კოპენჰაგენი. გერმანელ გაზეთებს რომიდან აუწყებენ, რომ პაპა ბენედიკტ XV-ტე ფიქრობს სეკტემბრის დამლევს მოიწვიოს კორდინალური კონსისტორია ახალი მოწოდების ტექსტის შესამუშავებლად მეომარ სახელმწიფოებისადმი რომ დაუყონებლივ ბოლო მოეღოს სისხლის ღვრას და ჩამოაგდოს ზავი.

პარიზი. 21 ივლისი. პრეზიდენტმა პუანკარემ ინახულა ბელგიის მეფე, რომელსაც გადასცა სამხედრო ორდენი. პრეზიდეიტმა განუცხადა მეფეს, რომ ბელგიის საქმე განუწყვეტლათ შეერთებულია საფრანგეთთან. კალედან პრეზიდენტი პარიზს დაბრუნდა.

ბუქარესტი. „ადვერული“ სწერს: „მას, ვინც ომის დაწყებისას იტყოდა, რომ ეგ ომი წელიწადზე ‚მეტს გაგრელდებაო“, გიჟათ გამოაცხადებდენ. მიუხედავათ ამისა, ომი გრძელდება და გაგრძელდება მანამ, ვიდრე გერმანულ მილიტარისტულ ძალას არ გაანადგურებენ.

ემიგრანტების წინადადება.

მოსკოვი. ცნობილმა ემიგრანტმა თ-დმა კრაპოტკინმა და ალადინმა ლონდონიდან რუსეთის ერობათა და ქალაქთა კავშირებს მიმართეს წინადადებით, რომ დაეხმარონ მათ მუშათა კავშირის მოწყობის საქმეში, რომლებმაც მიიღეს წარმომადგენლობა ინგლისის კავშირებისა. ორივე ემიგრანტების წინადადება საყოველთაო თანაგრძნობას იწვევს.

„ბ. ვ.“

კოლონისტების გადასახლება.

რეველიდან იუწყებიან, რომ გადაასახლეს იქაურ მიდამოებიდან გერმანელი კოლონისტები.

ოდესა. ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ოსმალეთში მოვიდა სტატსკურათ გადაცმული მრავალი აფიცერი ინჟინერი და ავიატორი.

ბუქარესტი 24 ივლისს რუშინიიდან გავიდა გერმანული ახალი სანიტარული მატარებელი, რომელიც შესდგებოდა 10 ვაგონისაგან, მედიკამენტებით, ექიმთა და მოწყალე დებით. მატარებელი ოსმალეთში წავიდა ტიფის წინააღმდეგ საბრძოლველათ, რომელიც ძლიერ მოდებულია გალიპოლის ნახევარ კუნძულზე.

კოპენჰაგენი. გერმანული გაზ.ცნობით, სირიაში გაძლიერდა აგიტაცია ფრანგებისა და ინგლისელებისა ოსმალეთის პატრობელობის გასაუქმებლად და არაბ-სირიელთა ავტონომიის აღსადგენათ.

ხარსონი. ქალაქის საბჭომ 1000 მანეთი გადადვა რუსის ტყვეებთა სასარგებლოთ, რომლებიც მტრის ქვეყნებში იმ ყოფებიან.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ სადღეისოთ დასაბეჭდათ გამზადებული სიტყვა დეპუტატ ჩხეიძისა ვერ იბეჭდება.

✦ გუშინ დილის მატარებლით გურია-სამეგრელოდან დაბრუნდა ქუთაისის გუბერნატორი კამერ-იუნკერი ლ. ნ. პოტულოვი.

✦ წყალდიდობით დაზარალებულ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა დასახმარებლათ მთავრობამ საიმპერიო თანხიდან გადასდვა ერთი მილიონი მან.

გლეხებისაგან ვაჭრებმა ნედლი პარკი ჩირის ფასათ იყიდეს და ახლა კი ოთხ-ხუთ ფასათ ჰყიდიან.

✦ „ძმური სიტყვის“ გაყიდვით შემოვიდა 575 მანეთი და 65 კაპ.

✦ 15 ივლისიდან დ. ახალ-სენაკში მეოთხე რაიონის სახალხო მასწავლებლებთათვის გაიხსნა სამასწავლებლო კურსები. ამ კურსებზე მთავრობის ხარჯით მოწვეულია 30 მასწავლებელი. კურსებზე მასწავლებლების ნება აქვთ აგრეთვე სხვა მასწავლებლებსაც. დღემდის კურსებზე დაიარება 60 მასწავლებელი. მეცადინობა 1 აგვისტოს შეწყდება.

✦ მომავალი სეკტემბრიდან დ. ჭიათურის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში კანონმდებლობის მასწავლებლათ ინიშნება ნაფიცი ვექილის თანაშემწე მ. მასხულია საგიგიენო საგნების მასწავლებლათ კი კ. კამპანიონი. ამის შესახებ სასწავლებლის მთავრობამ ბ. გუბერნატორთან შუამდგომლობა უკვე აღძრა.

✦ განსვენებულ მგოსნის აკაკის სახელის უკვდავსაყოფლათ ქუთაისის საზოგადო საკრებულომ სტიპენდია დანიშნა. საკრებულოს საზოგადო კრების დადგენილებით სტიპენდია გადაეცემა ეთნოგრაფიულ საზოგადოებას და უნდა მიეცეს ფილოლოგიურ ფაკულტეტზედ მოსწავლე ახალგაზდას. სტიპენდიის რაოდენობა წლიურმთ 360 მანეთია.

✦ სრულიად რუსეთის ვაჭარ მრეწველთა საბჭო ატყობინებს ჭიათურის შავი ქვის საბჭოს, რომ მას განზრახვა აქვს შეიძინოს დ. ჭიათურაში გერმანელების მიერ, შეძენილი 615 დესეტინა მარგანეცის ადგილი, რომელსაც შარშან მთავრობამ ომიანობის გამო კონფისკაცია უყო.

✦ გოგებაშვილის ქუჩაზე ამ ჟამათ გაზის ფარნები უწესრიგოთ ინთება.

✦ კვირას, 26 ივლისს, აჭარელთათვის სავექილო დასახმარებლად, შავი ქვის საბჭოს დარბაზში დანიშნული გექილთა კორპორაციის კრება არ შესდგა, კრება სხვა დროისათვის გადაიდვა.

✦ ამ დღეებში ქართველ საქველმოქმედო საზ. მიერ დამშეულთათვის სიმინდი გაიგზავნება შემდეგ ადგილებში: დ. ჭიათურაში 3 ვაგ., დ. სამტრედიაში 3 ვაგ., დ. ახალ-სენაკში 4 ვაგონი, დ. ბაბაშაში 3 ვაგ., დ. ლანჩხუთში 4 ვაგონი, ნატანებში 5 ვაგონი, ტყიბულში 2 ვაგონი. ეს სიმინდნ არ უნდა გაიყიდოს ფუთი ერთ მანეთს ზევით. აღებული ფულით კი სიმინდი ხელ-ახლათ მოტანილი იქნება ჩრდილოეთ კავკასიიდან.

— ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარე პატივცემული ბ. ალექსანდრე გარიევანიშვილი აგვისტოს შუა რიცხვებში წაიკითხავს ქ. გორში სამ ლექციას შემდეგ საგნებზე: მე-18 საუკუნის საქართველოს მგოსანი დ. გურამიშვილი და მისი პოეზიის მნიშვნელობა.(გორის სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ). 2. ფინლიანდიის ლიტერატურა და პრესა მე-19-ტე საუკუნეში (გორის წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოთ).

3. ქალთა ტიპები გამოჩენილ დრამატურგ **იბსენის** შემოქმედებაში.

პირველ ლექციას დ. გურამიშვილის შესახებ ალ. გარსევანიშვილი წაიკითხავს აგრეთვე დაბა ცხინვალში და სოფელ მეჯლუხევში.

✦ რადგანაც წელს პარკის ნაკლები მოსავალი იყო, რუსეთში ხმელი პარკისა და ძაფის ფასმა აიწია. ნუხური და იმერული ძაფი ფუთი მოსკოვში ფასობს 340—360 მან. შარშან კი ამავე ძაფში იძლეოდნენ 240—260 მანეთს. ხმელი პარკი ჯერჯერობით 56 მან. იყიდება. საწყალი

✦ სალიტერატურო საღამო, რომელიც უნდა გამართულიყო ქალაქ ფოთში დღეს, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო, გადაიდო. საღამო გაიმართება პარასკევს, 31 ივლისს, ელ-თეატრ „კომეტა“-ში შემდეგი პროგრამით: საღამო გაიხსნება სამგლოვიარო სიტყვით ვაჟაზე. შემდეგ ქ-ბნ თოიძისა და ხარაზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ვოდევილები „სიდედრი მაია“ ვ. გუნიასი და „ოინბაზი“ აქვს. ცაგარელსა. დივერტისმენტში მონაწილეობას მიიღებს ახალგაზდა მწსრალი ცვარ-ნამი, ილარიონ ქლენტი წაიკითხავს გურულ სცენებს. დასასრულ ცნობილი მომღერალი ვარდენ ლორთქიფანიძე იმღერებს ქართულსა და რუსულ რომანსებს.

✦ კლასიკური გიმნაზიის გამგეობის განკარგულებით, ამ ჟამათ ხსენებული გიმნაზიის მთავარ დარბაზში მოწაფეების დახმარებით მზადდება მახრჩობელა გაზის საწინააღმდეგო თავის შესაკრავები, მუშაობა სწარმოებს ყოველდღე საღამოს 5 საათ. 7 საათამდის.

✦ 24 ივლისს, ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოწაფეთა ერთი ჯგუფი მასწავლებლების ხელმძღვანელობით საექსკურსიოთ გაემგზავრენ დ. ჭიათურაში. მოწაფეები იქ დაათვალიერებენ შავი ქვის მაღარეობს.

✦ ქუთაისში მიღებული ცნობების თანახმათ ამ მოკლე ხანში გაწვეული იქნებიან ის ჯარის კაცები, რომელნიც სარგებლობენ პირველი და მეორე შეღავათით. გაწვეული იქნებიან ის პირები, რომელთაც ეს შეღავათები მიღებული აქვთ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში.

✦ ქალ. სანიტარმა ი. ჩაჩანიძემ პუშკინის ქუჩ. სანიტარული ექიმის თანხლებით ოქმი შეუყენა იაკობ ფარ. ავსარქისოვს და შაბათა რიყინაშვილს სანიტარული წესის დარღვევისათვის.

✦ ბაზრის ზედამხედველმა ი. გელოვანმა ოქმი შეუდგინა ჩარჩ მოვაჭრეს მიხეილ თავდიდივილს ბაზარში ვაჭრობის წეს-რიგისდარღვევისათვის.

მოწერილი ამბები.

დ. ბაღდადი. შაბათს, 10 კვირკობისთვეს, ბაღდადის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ მსახიობი ვ. ჩხიკვაძის და შალვა ჯაფარიძის თაოსნობით და ადგილობრივი სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქმნა ჩვენი თვალსაჩინო ბელეტრისტის დ. კლდიაშვილის პიესა; „ირინეს ბედნიერება“ და ერთმოქმედებიანი სურათი „დარისპანის გასაჭირი“ წარმოდგენამ საზოგადოთ კარგათ ჩაიარა; მშვენივრათ ასრულებდენ თავ-თავის როლებს ვ. ჩხიკვაძე, შ. ჯაფარიძე, ქ. ჯაფარიძე და ნ. კვირიკაძე; კარგად თამაშობდნენ აგრეთვე თ. ფურცელაძე და კ. ნიჟარაძე—არა უშავდათ დანარჩენებსაც. წარმოდგენისგათავების შემდეგ როკითის ხორომ მწყობრმთ იმღერა „სამშობლო“ „მზე შინაო“ და სხვები, რისთვისაც დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა. ხალხს ძლიერ ბევრი დაესწრო და ნასიამოვ ნებიც დაიშალნენ, მხოლოდ წესრიგი სრულებით დაცული არ იყო.

მადლობის ღირსნი არიან ბ. ვ. ჩხიკვაძე და ბ. შ. ჯაფარიძე, რომლებმაც სრულებით უსასყიდლოთმიიღეს მონაწილეობა წარმოდგენაში, ვინაიდან საქველმოქმედო მზნითიყო გამართული.

კვირას, მეორე დღეს, მოხდა სამკითხველოს წევრთა წლიური კრეკრება; კრებაზე მოწვეულნი იყვნენ ვაჭრებიც, რომლებმაც ხელახლათდაადგინეს, ერთხმათ, მისცეს სამკითხველოს ყოველწლიურათ ყაფნის მესამედი შემოსავალი, რაც 150 მ. უდრის. სხვათა შორის ძველი გამგეობის ნაცვლათ არჩეულ იქნა სამკითხველოს გამგეობის წევრებათ: თ-დი შიშაჩხეიძე, ქ-ნი ნინო კვიკაძის ასული და ბ. სერგო ფორჩხიძე, სარევიზიო კომისიაშიდ აირჩიეს ბ. ბ. გიორგი ახვლედიანი, ანდრო ფურცელაძე და გრიგოლ მეფარიშვილი. კრებაზე სამი დღით ადრე არჩეული იყვნენ სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დავალებული ქონდათ გამოერკვია და შემდეგ კრებისათვის მოეხსენებიათ—თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება სამკითხველოს საქმეები. კომისიამ აღმოაჩინა მრავალი დეფექტი, სხვათა შორის, 25 წიგნი უგზოუკვალოთ დაკარგულა, წასული 1913-14 წლების ჟურნალ-გაზეთე ბსაც ამგვარი ბედი სწვევია, ასე რომ, სამკითხველო, სჩანს, მთლათ უპატრონო ყოფილა. იმედი გვაქს ახალი გამგეობა მეტის შრომით და უნარით მოეკიდება სამკითხველოს საქმეს და აღმოაჩენს ვის აქვს დაკარგული წიგნები მითვისებული ან რამ ჩაყლაპა ორი წლის ჟურნალ-გაზეთები; ვინაიდან, თუ ამვაჟბატონებს ასეთი უმგზასო ქცეშერჩათ, უფრო მეტს ცუდს უნდა მოველოდეთ მათგან შემდეგისათვის.

ანდრო.

სამღვდელოების კრება.

ამ მოკლე ხანში მოხდება საქართველოს ყველა ეპარქიის საბლაღოჩინოების სამღვდელოების კრება, რათა დასახელებულ იქნას სახელმწიფო საბჭოს კანდიდატი სამღვდელოების მხრივ. ეს, მგონი, მესამე არჩევანი უნდა იყოს მას იქით, რაც რუსეთის უმაღლეს დაწესებულებაში სამღვდელოების არჩეულ პირებსაც მიეცათ უფლება ყოფნისა, უმაღლესი ბრძანებისამებრ. არც ერთ წინა არჩევანში კანდიტატი სამღვდელოების მხრივ არ მოხვდა ამ დაწესებულებაში, სხვადასხვა მიზეზის გამო. მთავარი მიზეზი კი სწორეთ ის იყო, რომ, არსებული კანონის ძალით, ცალ-ცალკე ეპარქიებს არ აქვთ უფლება, თავიანთ საზღვრებს განშორდენ. და ამასთანავე თითოეულ ჩვენს ეპარქიაშიაც ხმები რამდენსამე ათეულებათ იყოფა და ზოგი ვის ასახელებს და ზოგი ვის. ამასთანავე ჩვენი ეპარქიებიის შტატთა რიცხვი არ აღემატება 400—500 და ეს რიცხვი, როგორც ზევით მოგახსენეთ, რამდენსამე ნაწილათ იყოფა. სწორეთ ესაა მიზეზი, რომ განვლილ სეხიების დროს არც ერთხელ ქართველებს იქ თავისი კანდიტატი არ ჰყოლია. ასევე მოგველის ახლაც, თუ საქმეს ღრმად არ ჩაუკვირდით ამ თავითვე. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, რომ ეპარქიების თითოეულმა სამღვდელოებამ ერთს რომელსამე დასახელებულ კანდიტატს მისცეს ყველა ხმა და არა 10—15, როგორც წინა არჩევანზე მოხდა, რისი ბრალიც ზოგიერთ ჩვენ საღერღელ აშლილ თანამოძმეებს უნდა მიეწეროს. იმ შემთხვევაშიაც, კი რომ არჩევნები ჩვენ მიერ დასახულ გეგმისამებრ მოხდეს მაინც საეჭვოა, რომ ქართველი სამღვდელოების მიერ ცალ-ცალკე ეპარქიებში ერთ ხმად დასახელებული კანდიტატი გავიდეს სახელმწიფო საბჭოს მწევრად, რადგან, როგორც გამიგონია, რუსეთის მრავალი ეპარქია შესდგება 800—1500 შტატიდან და, რასაკვირველია, რომ ჩვენი შტატებით მცირე-სათხოვნი ეპარქიები მათ შეტოქობას ვერ გაუწევს. აი, სწორეთ, ქართველმა სამღვდელოებამ ამ საქმის შესახებ უნდა აღძრას შუამდგომლობა უმაღლესი მთავრობის წინაშე, რათა მთელ საეგზარხოსოს ნება ექნეს ერთი თავისი კანდიტატი დაასახელოს და საქართველოს სამღვდელოების სახელით თავისი წარმომადგენელი იყოლიოს სახელმწიფო საბჭოში.

ამას გარდა შიდა რუსეთის სამღვდელოებამ იმისთანავე პატივის ცემა უნდა გამოიჩინოს ქართველი სამღვდელოების წინაშე, როგორც რუსეთის თავად-აზნაურობამ, რომელმაც ერთ-ერთი ადგილი საბჭოს წევრისა თავისი სურვილით იმ თავითვე დაუთმო ქართველ თავად-აზნაურობის წარმომადგენელს.

იმედია, ჩვენი სამღვდელოების მოწინავე პირები სერიოზულათ მოეკიდებიან ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან საკითხს და დაუყონებლივ აღძრავენ შუამდგომლობას, ვისთანაც ჯერ-არს. ამ საქმის ჩვენდა სასარგებლოდ დაბოლოებას ის გარემოებაც გვაიმედებს, რომ საქართველოს ეკლესიის უმაღლესი მმართველი მამობრიულ ზრუნველობას იჩენს თავის სამწყსოს წინაშე და სწორეთ, რომ შემთხვევაც შესაფერი ეძლევა, თავისი სიტყვა საქმის განხორციელებით დაამტკიცოს, რაშიაც სრული იმედი უნდა ვიქონიოთ.

მღვდ. ვლადიმერ მაჭარაშვილი.

ორ წყალს შუა.

ორ წყალს შუა, პატარა ვიწრო მშრალზე იმყოფება მაჰმადიანი საქართველო; და ეს არა მარტო ახლა, არა ომის დაწყებიდან, არამედ დიდიხანია, მას შემდეგ რაც საქართველოს მოსწყდა და ვერც ოსმალეთს შეუერთდა. ის კაი ხანია განმარტოებულია, კულტურის ნაპირზე გარიყული, არც ჩვენია, არც სხვისია, ის აჭარელია, ქობულეთელია, სამცხე-საათაბაგოელია, და რადგანაც ასეთი კულტურული ერთეულნი არ არსებობდენ, ამიტომ ის დარჩა საზოგადო აღორძინების გარეშე, ყოველ მხრივ მოწყვეტილი, მივარდნილი, მივიწყებული.

ყველა ხალხის, ყველა კუთხის კულტურული ზრდა შესაძლებელია მხოლოდ ნაციონალურის გზით, ნაციონალური ენის, მწერლობის, ხელოვნების საშუალებით, მისვლა-მოსვლით, სულიერათ და ნივთიერათ ერთმა-ერთთან დაკავშირებით. ამ საერთო კანონს მისდევს და მორჩილებს ყველა აღორძინებული და ასაღორძინებელი ერები. ამ გზას დ[illegible] გაჰყვა ქართველი მაჰმადიანობა. [illegible] მიზეზი ორნაირია, კულტურულ-ისტორიული და პოლიტიკურ-ადმინისტრატიული.

სანამ ხალხი ჩვილი და განუვითარებულია, სანამ მას ცივილიზაციის სამოქალაქო საფეხურზე ფეხი კარგათ ვერ მოუმაგრებია, მანამდის მისი შემაერთებელია არა ნაციონალური მომენტი, არამედ რელიგიური. აქ სარწმუნოება სჭარბობს ცხოვრების დანარჩენ ელემენტებს და მათ იმორჩილებს. დღესაც რამდენი ქათთველია, რომლისთვის ქართველი და მართლმადიდებელი ერთი და იგივეა, რომელსაც ქართველი კათოლიკე, ქართველი მაჰმადიანი, ლიუტერანი, ებრაელი და სხვა ვერ წარმოუდგენია. რუსეთშიაც გაბატონებულ და ხელმძღვანელ წრეებში დღევანდლამდის არ ცნობენ რუს არა მართლმადიდებელს. რუსი მალაკანი, შტუნდისტი, ბაპტისტი და სხვა ნამდვილი რუსი არ არის, ის მოღალატე რუსია, მეორე და მესამე ხარისხოვანი რუსია. აი როგორ მსჯელობენ სფერებში. ცხადია, აქაც ერის შემაკავშირებელ ცემენტათ აღიარებულია არა ნაციონალური სამოქალაქო ურთიერთობა, არამედ სარწმუნოება, ეკლესია. ეს არის ნაშთი თეოკრატიული მიმდინარეობის, როცა სახელმწიფო წარმოდგენილი ქონდათ, როგორც ერთმორწმუნეთა პოლიტიკური ერთეული და მთავარ როლს ანიჭებდენ მღვდელმთავართ და ხუცებს.

ახლა წარმოიდგინეთ საწყალი მაჰმადიანი ქართველი სადღაც მთაში, ჩიტის ბუდესავით, მიკრული, გარეშე ქვეყნებისაგან დაშორებული, პატრიარქალურ მეურნეობაში ჩაფლული, უგზოთ, უსკოლოთ, უწიგნოთ (გასაგებ ენაზე), რა დარჩენია მას, რით ასაზრდოვოს თავისი სული და გული? ხელში შერჩა ერთად ერთი რელიგია და რაღა გასაკვირელია მას მაგრათ ჩააფრინდეს და მთელი თავისი მსოფლმხედველობა მაზე ააგოს. მისი გზა ბ ხიდი, მისი კულტურული საუნჯე სარწმუნოებაა, ხოლო ამ გზას ის მიჰყავს არა ჩვენსკენ, ქრისტიან ქართველებისაკენ, არამედ ოსმალებისაკენ, სხვა ერთა მაჰმადიანებისაკენ.

და აი სწორეთ აქ იწყება მისი ტრაგედია. მართალია ის მიილტვის ერთმორწმუნოებისაკენ, მარა ამათთან მიახლოვებისთანავე ჩნდება, რომ მათ შორის დიდი ზღვარია, მათ პირველ ყოვლისა არა ესმის რა ერთმანერთის, ერთმა ოსმალური არ იცის, მეორემ ქართული, ხოლო კულტურული ერთობის დედაბოძი საერთო ენაა. ქართველ და ოსმალ მაჰმადიანთა შორის ხიდი ჩატეხილი აღმოჩნდა. ამ ორ ხალხის ერთად შედუღება, ერთ კულტურულ მთელათ გადაქცევა შეუძლებელი გახდა. მაშასადამე ქართველი მაჰმადიანობა განკერძოვდა ოსმალებისაგან, ესენი მისთვის უცხო (თურქნი) შეიქნენ. ამათგან ის აღარაფერს არ ღებულობს, გარდა მოლებისა და არაბულ ენაზე დაწერილ სამღვთო წიგნებისა. ხოლო ცხოვრება თავისას ითხოვს, სარწმუნოებით თავის რჩენა ხუცებს თუ შეუძლია, თვარა ხალხს არა. აჭარელისათვისაც მიუცილებელი შეიქნა თავის რჩენის ახალი წყაროები გამონახოს, ვაჭრობას, აღებ მიცემობას ხელი მოჰკიდოს, თავისი მთებიდან დაბლა ჩამოვიდეს და ასე თუ ისე ქრისტიან ქარ-

თველებს დაუკავშირდეს.

და აი აქ იწყება მისი მეორენაირი ტრაგედია. აქ ის ხედავს, რომ ქრისტიან ქართველს და მას შორის დიდი ერთობაა, შეკავშირების მთავარი იარაღი—ენა საერთოა, მაშასადამე ამ ენის საშუალებით მას შეუძლია ივაჭროს, იკითხოს, ქვეყნის ავი და კარგი გაიგოს—ერთი სიტყვით განვითარდეს, თავისი ცხოვრება უკეთ მოაწყოს. მაგრამ ამავე დროს მასში იღვიძებს თავისი შინაური, რელიგიაზე აგებული მსოფლმხედველობა, თავისი რელიგიური ზნე-ჩვეულება და ამბობს: ყოველივე ეს მართალია, მარა ქართველი ურჯულოა, მე ქართველი არა ვარო. ის ქართველისაგან თავს შორს იჭერს, მორიდებულია, განზე იყურება, თან კიდევაც ეშინია—ვაი თუ მეზობლებმა „გიაურობა“ დამწამონო. ის მიუბრუნდა ისევ თავის შინაურ კულტურას.

ამნაირათ, ქართველი მაჰმადიანობა დარჩა განმარტოებული, გარიყული. ის კიდევ უფრო შინ ჩაიკეტა და თავიის სულიერი ცხოვრება თავისივე ხეობით შემოიფარგლა.

განა არ შეიძლებოდა ამ ყინულის გადნობა, ამ კარ-ჩაკეტილობის მოშლა და ჩვენთან მათი დაკავშირება? უეჭველია შეიძლებოდა; რაკი ისტორიული აუცილებლობა მათ დენის ჩვენკენ, რაკი აჭარელი ჩამოდის დაბლა, ხოლო ჩვენ ავდივართ მაღლა, აჭარაში სხვა და სხვა საქმეებისათვის, ერთი სიტყვით, რაკი ნივთიერი საჭიროება ერთმანეთისაკენ გვდენის, ცხადია კულტურული ერთობის ნიადაგი მზადდება, საჭიროა მხოლოდ ამის დანახვა და მისი მოხმარა.

მთავარი იარაღი კულტურული აღორძინების ნაციონალური შკოლაა და ჩვენც მოვინდომეთ ამ იარაღით შესვლა აჭარაში. აქ კი წინ გადაგვეღობა ადგილობრივი ადმინისტრაცია და გამოაცხადა: აჭარელი ხომ ქართველი არ არის, მისი შკოლა რუსული უნდა იყოს და არა ქართულიო. დაიწყეს რუსულ ენაზე სწავლება, რამაც კიდევ უფრო აურია დავთარი ქართულათ მოლაპარაკე აჭარლებს. მათ ვეღარც რუსული ისწავლეს, ვეღარც ქართული. ამით კულტურულ წინმსვლელობას გზა მოუჭრეს. აჭარელი ქართველს და ქართულს უფრო ნდობით ეპყრობა, ვინემ რუს და რუსულს. რუსულმა სკოლამ ქართული კულტურა მათში არ შეუშვა, ხოლო რუსული კი ვერ შეიტანა.

და ასე ქართველი მაჰმადიანობა დღემდი იდგა ორ წყალს შუა, ორ მისთვის გაუგებარ კულტურის შორის, ოსმალურის და რუსულის. მისთვის ორივე უცხოა, ორივე შორეულია; მას არც ერთი არ უხსნის განვითარების კარებს. ერთად ერთი მისი გზა და ხიდია ქართული სკოლა, ქართული კულტურული ავლადიდება. და თვით რუსული კულტურის შეტანა, რუსეთთან მჭიდროთ დაკავშირება შესაძლებელია მხოლოდ ქართული ენის და ქართული სკოლის საშუალებით.

და როცა ეს მოხდება, როცა ქართული სკოლით აჭარა მოიფინება; ქართული ნივთიერი და სულიერი კულტურა იქ დაიბუდებს, ყოველივე საეკლესიო კითხვა კერძო საქმეთ გამოცხადდება და ქართველობა მათ მოევლინება მხოლოდ სამოქალაქო კულტურ ს მატარებლათ, მაშინ ქართულ ეროვნულ ჩარჩოში ქართველი მაჰმადიანობაც შემოვა და მით ერთი სამოქალაქო ქართველი ერი გაჩედება...

ნ. ფორდანია.

(„ძმური სიტყვა“)

ვინ არის დამნაშავე?

(წერილი ს. მაღლაკიდან).

ჩვენი სასულიერო წოდება დასტირის იმ გარემოებას, რომ ხალხმა ვითომ დაკარგა სარწმუნოება, და ამ გარემოებას აწერს ჩვენს თავზე დამტყდარ უბედურებას. მართლაც, არც დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ზოგ ეკლესიაში ჰქონდა ადგილი წმიდა საგნების წაბილწვას, რაც უტყუარი მაჩვენებელია ხალხში სარწმუნოებრივი გრძნობის შესუსტებისა. მაგრამ არაფერი არ ხდება უმიზეზოთ და ამ მოვლენასაც აქვს ღრმა მიზეზები, რომელთა შორისაც უმთავრესია ზოგი სასულიერო პირის ანგარება და მათგან ხალხის სარწმუნოებრივი გრძნობის შელახვა...

მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო ზედამაღლაკის ღვთის-მშობლის ეკლესიის მრევლს, სადაც ბატონობს მღვდელი ლ. ე—ნი. ამ უკანასკნელის წინაღმდეგ აღძრული იყო საჩივარი, რომელიც 20 ივლისს ადგილობრივი ხალხის დასწრებით გამოიძია პატივცემულმა დეკანოზმა ნასარიძემ. „შეგვჭამა მღვდელმა, გვისაშვალე რაიმე“, დრტვინავდა ერთხმათ მრევლი.

— მაშ თქვენ ყველა მომჩივანი ყოფილხართო, შენიშნა დეკანოზმა. „გაგვიჭირდა შენი ჭირიმე და ყველას უნდა შევჩივლოთ ეს გაჭირვება, ორი-სამი წელიწადია მღვდელმა ზარისათვის ფულები მოაგროვა და სოფელში ასესხებს, გთხოვთ დაგვიბრუნდეს ჩვენი ფულებიო; ღატაკის ცოლი რომ მოლოგინდება, სახლის მოსაკურთხებლათ სამი კაცით მოვა და ერთი თვის საზრდოს შეუჭამს, თუ არ მიიწვიე, ქალს მერე საყდარში არ შეუშვებს; საყდარში პირუტყვებს და ნადირებს გვიძახის და აქ მოსვლა შეგვაძულაო“. შემდეგ დაიწყო მოწმეების შეკითხვა. ერთმა გლეხმა განაცხადა: „უცებ ბავში ავათ გამიხდა, მივაშველე შუა ღამისას, ბევრი მაწვალა, არ წამომყვა და ბავში უნათლავი მოკვდაო“. ერთმა ულარიბესმა გლეხმა მოახსენა: „ცოლი მომიკვდა, ხუთი მანეთი მივეცი და ვუთხარი: მეტის მოცემა არ შემიძლია და არც შეგპირდები. როდესაც მეორე ცოლი შევირთე, მოწმობა დამიკავა; ხუთი მანეთი შენი პირველი ცოლის საწირავი მერგებოდა, და სამი მანეთი მოწმობისო. გადამახდევია კიდეც რვა მანეთი მოწმობაშიო“.

„მოწმობაში სამი მანეთი და თუთხმეტ შაურიანი მარკა გადამახდევია“, უპასუხა მესამემ და სხვებმა.

„ქორწილში ვიყავით, ჯვარსაწერი 25 მან. გვთხოვა; ბევრი ვეხვეწეთ და ვევაჭრეთ ოთხმა კაცმა და ბოლოს ცამეტი მანეთი გადაგვახდევია და თორმეტი თქვენთვის მიჩუქებიაო—სთქვა, და შემდეგ დასწერა ჯვარი“.

„ეკლესიაში, ბატონო, ვაჭრობა ნუ იქნება, ეს ხომ სამიკიტნო არ არის, გვითხრას რა ერგება და მივსცეთო“—დასძინა ორმა კაცმა.

— მე მნათეთ ვიყავი, დაიწყო ერთმა მოხუცმა, 23 მ. სანთელი ვიყიდე, მაგან გადამითვალა, მოჩრა ოთხი მანეთი და 6 კაპიკი, დაავლო ხელი, ეს ჩემიაო, და წაიღო. მერე ორი კაცი მივუჯზავნე და დამიბრუნა. მხოლოდ ერთი მანეთიანი ღერი არ დამიბრუნა. მაშინ რომ უკუღმა შემოვტრიალდი, აგერ შკიდი წელი სრულდება, წირვა-ლოცვა არ მომისმენიაო, დასძინა 77 წლის მოხუცმა.

— მღვდელი ხშირათ თვრება და ერთხელ დიდ მარხვაში ღვთის მსახურების დროს ღვინომ პირიდან ასაქმებინაო, აჩვენეს მოწმეებმა.

ყველა ამის მომსმენი ეკითხები შენს თავს: მღვდელი ხომ მამა უნდა იყოს და, როდესაც მისსა და მრევლს შორის ეს მამა-შვილური დამოკიდებულობა ისპობა და მტრობას უთმობს ალაგს—უკეთესი არ არის ასეთი მღვდელი, ოჯიანურ მაშინ, [illegible] დეს მრევლს? მართლაც, თუ 77 წ. მოხუცს ისე შეაძულა [illegible] წლის განმავლობაში ერთხელაც არ მოუსმენია წირვა-ლოცვა, ახალგაზდებს უარესი არ მოუვათ? სარწმუნოება და ეკლესია კი არ უნდა არსებობდეს მღვდლისათვის, არამედ მღვდელი უნდა არსებობდეს სარწმუნოებისა და ეკლესიისათვის. და, თუ ბოროტი მღვდელი მრევლს არ მოაშორეს და ამან ცუდი ნაყოფი გამოიღო, ვინ იქნება დამნაშავე? მაგრამ არა, მე მწამს, რომ სიმართლე უძლეველია და ყოვლად სამღვდელო მიაქცევს ყურადღებას ხალხის ღაღადისს და იხსნის ჩვენს მრევლს აწიოკებისა და დაცემისაგან.

მაქსიმე სიმ. კვერნაძე.

ს. მაღლაკი.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ფოლრფოლაძეების სამკურნალო

—| ა ბ ა ნ ო. |—

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჭალრზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საუმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებს (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძვიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოობით. თ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი

ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საუმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

სადგურ ხრესილში („სერნია ვოდში“) ტყიბულის რკინის გზ. შტოზე.

სამკურნალო აბანო

პ. ვ. ოგოლაძის.

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან **ბაიხსნა სეზონი.** ეს წყალი როგორც გამოკვლეულია, კურნავს მრავალ სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან და უმეტესათ კი: ქარების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე ძალ-ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხსენებული აბანო არის სადგურიდან დაშორებული 100 საჟენით. იქვეა სუფთა ბინები. ხელმისაწვდომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფერი იშოვება. მატარებელი გადის დილა და შვადღეზე. თ.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში